ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/08

დაბა ქედა, **22 ივლისი, 2020 წელი**

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:10 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ჰამიდა ზოიძე- საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 ივლისი, 2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის №01-06/08 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

2. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შუქრი თურმანიძის მიერ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

4. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი ლევან გორგილაძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს წევრმა ვაჟა ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა 30 ივნისს მთავრობის თავმჯდომარის ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სეტყვის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, რა ვითარებაა და ნამდვილად მოხდება თუარა მათზე დახმარება, აუნაზღაურდებათ თუარა ზარალი და ეს ხომ საარჩევნო პერიოდისთვის არ გაქვთ გათვლილი?

რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ განუმარტა, რომ ზარალის დამთვლელი კომისიის მიერ განხორციელდა უკვე შესაბამისი მოქმედება (ზარალის დათვლა, აღწერა დაზიანებული ნარგავების) და აუცილებლად მოხდება მათი ანაზღაურება დათვლილი ზარალის შესაბამისად, ,,საარჩევნო პერიოდი არაფერ შუაშია ბატონო ვაჟა, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია მათი ზარალის ანაზღაურება და ჩვენთვისაც მთავარი ესაა, რა პერიოდს დაემთხვევა და რას არა ამას დაზუსტებით კონკრეტული ვადის აღნიშვნით ვერ გეტყვით, მაგრამ აუცილებლად აუნაზღაურდებათ უახლოეს პერიოდში“.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის №01-06/08 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ წარმოადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და აქვე აღნიშნა, რომ საკითხზე წარმოება დაწყებული იყო 17 ივლისის №20 განკარგულებით (შემოსული დოკუმენტი:№61/04, 15.07.2020 წელი; შიდა დოკუმენტი:№118-04, 21.07.2020 წელი).

აზრი გამოთქვეს:
საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს და სხდომის თავმჯდომარეს, რომ ის ელოდა საგანგებო ბიუჯეტს გაზრდილი თანხით და არა სეკვესტრირებულ (შემცირებულ) ბიუჯეტს, რადგან ბოლო პერიოდში პანდემიის ფონზე საჭიროება მოითხოვდა ამას, ასევე იკითხა ბიუჯეტში ჩაწერილ დანდალოს წყლის რეაბილიტაციაში თუ რას გულისხმობდნენ?

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ ქვეყანაში შექმნილმა პროცესებმა შექმნა მთელი რიგი ბიუჯეტის ცვლილებების აუცილებლობა, ამიტომ ის რაც შეიძლებოდა ცვლილებით ასახულიყო ბიუჯეტში მაქსიმალურად იქნა გაკეთებული.

რაც შეეხებოდა დანდალოს წყლის რეაბილიტაციას მომხსენებელმა უპასუხა, რომ მეწყერისაგან დაზიანებული წყლის მილების შეკეთებაზე იყო საუბარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 3 (ვაჟა ბოლქვაძე, ბაქარ ბარამიძე, რამინ ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილების პროექტი.
(დადგენილება№18).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხესენებელმა მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და განუმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ სამართლებრივი დასკვნის შესაბამისად განხორციელდა სწორედ აღნიშნულ დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად, დადგენილების პირველი მუხლით ხდება დებულებაში შესატანი ცვლილებების განსაზღვრა შემდეგი სახით:

მე-18 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.მერიაში საჯარო სამსახურს ეწევა: ა) პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი; გ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

4.ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფორმდება მერსა და დასაქმებულს შორის“.

მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას, ხოლო დადგენილების მე-2 მუხლი კი აწესრიგებს დადგენილების ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების წარმოშობილ სამართლებრივი შედეგებზე გავრცელების საკითხს შემდეგი სახით: დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე (შემოსული დოკუმენტი: №58/04, 06.07.2020 წელი; განკარგულება№21, 17.07.2020 წელი; შიდა დოკუმენტი:№117-04, 21.07.2020 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ იკითხა თუ რა აუცილებელი იყო დადგენილების მოქმედება გავრცელებულიყო 2020 წლის 24 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე?

მომხესენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ განუმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის 24 თებერვლიდან ამოქმედებული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები იყვნენ, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად. ამდენად, აღნიშნული პირები აღარ არიან საჯარო მოხელეები. ამიტომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში სათანადო ცვლილების შეტანა აუცილებლად უნდა მომხდარიყო, რათა სამართლებრივად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რომ მოსულიყო აღნიშნული დებულება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 3 (ვაჟა ბოლქვაძე, ბაქარ ბარამიძე, რამინ ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილების პროექტი.
(დადგენილება№17).

3. **მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შუქრი თურმანიძის მიერ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (შიდა დოკუმენტი:№113-04, 20.07.2020 წელი):

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებას. საკრებულო შედგება 15 პროპორციული და 9 მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრებისაგან. საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე (კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, წარმომადგენლობითი პრინციპულობის დაცვა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე) ახორციელებს თავის საქმიანობას. საკრებულო, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით. საკრებულოს უფლებამოსილება გააჩნია კონკრეტულ სფეროებში, რომლებზეც არ შევჩერდები. ცენტრალურ მთავრობას გაწერილი აქვს 2019-2025 წლების სტრატეგია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შესახებ. მმართველობის ეს სტილი მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და საშუალებას მოგვცემს ჩვენ თვითონ განვსაზღვროთ მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ამ შემთხვევაში ხდება მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფა, როგორც ფინანსური ისე მატერიალური საშუალებებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა მუნიციპალიტეტის დაფინანსების, კერძოდ დღგ-ს განაწილების ახალი წესი, რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო წლიური ბიუჯეტი. ეხლა მიდის მსჯელობა საშემოსავლო გადასახადის პროპორციულად განაწილების პრინციპის შესახებ, რაც კიდევ უფრო მოგვცემს საშუალებას ბიუჯეტი იყოს უფრო მზარდი. ზოგადი მიმოხილვა საკრებულოს წევრების ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა გარკვეულ საკითხებზე ხდებოდა კონსესუსის მიღწევა. მიმდინარე მოწვევის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობა 2019 წლის განმავლობაში იყო ნაყოფიერი. საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან, ერთობლივი მუშაობით მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლის განხორციელება ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკურ განვითარებას. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კანონშემოქმედებით საქმიანობას სჭირდება პროცედურების მაქსიმალურად დაცვა და პუნქტუალობა, საკითხების მომზადებაში არამარტო დაინტერესებული მხარეების, არამედ საკრებულოს თითოეული წევრის მეტი ჩართულობა, რაც ამცირებს ხარვეზების და შეცდომების დაშვების შესაძლებლობას. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები როგორიცაა: ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების პროგრამების დამტკიცება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინასების მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ საკრებულომ თავისი საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, ეს ეხება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ განხილვას, საკითხებზე შესაბამისი დასკვნების მომზადებას, ოქმების წარმოებას და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ არ მომხდარა საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხების ხელოვნურად შეფერხება, პირიქით, ვცდილობთ, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამით მიღწეული იქნა აღმსრულებელი ორგანოების დროული ეფექტური მუშაობა, თუმცა ვიქნები თვითკრიტიკული იმასთან დაკავშირებით რომ ადგილი ქონდა პროცედურული ნორმების მცირედ დარღვევას, რომელსაც არსებითი გავლენა არ მოუხდენია საერთო სამართლებრივი ნორმების წარმართვაში. შევეხე რეგლამენტს და უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილების ნაწილმა საშუალება მოგვცა უფრო ეფექტური გამხდარიყო და მართლაც საქმეზე მორგებული გახდა საკრებულოს რეგლამენტში ცვლილება, სხდომების გამართვასთან დაკავშირებით. მიმდინარე მოწვევის საკრებულომ განიხილა და მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები, როგორიცაა:

1.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №1 დადგენილება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

2.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №2 დადგენილება „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

3.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 მარტის №3 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილ ებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 ივნისის №4 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებ ის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენი ლებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დანართი - პროგრამები);

5.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 აგვისტოს №5 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებ ის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენი ლებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს №6 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

7.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ნოემბრის №7 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

8.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 ნოემბრის №8 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტ ის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

9.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილება ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;

10.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილება ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (პროგრამები და ქვეპროგრამები);

ასევე საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილი იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც გააუმჯობესეს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა:

1. 2019 წლის 18 იანვრის №1 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრება არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 21.03.34.441) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

2. 2019 წლის 25 იანვრის №2 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

3. 2019 წლის 25 იანვრის №3 განკარგულება „ „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

4. 2019 წლის 25 იანვრის №4 განკარგულება ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

5. 2019 წლის 25 იანვრის №5 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

6. 2019 წლის 22 თებერვლის №6 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

7. 2019 წლის 22 თებერვლის №7 განკარგულება „„ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

8. 2019 წლის 22 თებერვლის №8 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9. 2019 წლის 22 თებერვლის №9 განკარგულება ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე;

10. 2019 წლის 22 თებერვლის №10 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

11. 2019 წლის 01 მარტის №11 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის კომუნალურსერვისი" - სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

12. 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

13. 2019 წლის 29 მარტის №13 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

14. 2019 წლის 29 მარტის №14 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

15. 2019 წლის 29 მარტის №15 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

16. 2019 წლის 30 აპრილის №16 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

17. 2019 წლის 30 აპრილის №17 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ;

18. 2019 წლის 30 აპრილის №18 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ;

19. 2019 წლის 31 მაისის №19 განკარგულება „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

20. 2019 წლის 31 მაისის №20 განკარგულება „ „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

21. 2019 წლის 31 მაისის №21 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ;

22. 2019 წლის 31 მაისის №22 განკარგულება ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე

ბინა №3-ის; ბინა №14-ის; ბინა №22-ის; ბინა №28-ის; რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე ბინა №8- ის; ბინა №19-ის; ბინა №20-ის; ბინა №21-ის; ბინა №35-ის; ბინა №39-ის და წერეთლის ქ.№12-ში მდებარე ბინა №11-ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

23. 2019 წლის 31 მაისის №23 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, შპს „ქედის კომუნალურსერვისი"- სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

24. 2019 წლის 31 მაისის №24 განკარგულება სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისთვის - სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ;

25. 2019 წლის 31 მაისის №25 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ;

26. 2019 წლის 31 მაისის №26 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

27. 2019 წლის 31 მაისის №27 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ2019 წლის 31 მაისის №27 განკარგულება;

28. 2019 წლის 31 მაისის №28 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ;

29. 2019 წლის 31 მაისის №29 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში შესრულებული ანგარიშის მოსმენის შესახებ;

30. 2019 წლის 14 ივნისის №30 განკარგულება ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში გოგებაშვილის ქ.№1-ში მდებარე 12 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

31. 2019 წლის 14 ივნისის №31 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ;

32. 2019 წლის 14 ივნისის №32 განკარგულება სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

33. 2019 წლის 28 ივნისის №33 განკარგულება „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

34. 2019 წლის 28 ივნისის №34 განკარგულება შპს ქედის „კომუნალურსერვისი"-ს 2019 წლის ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ;

35. 2019 წლის 26 ივლისის №35 განკარგულება „ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

36. 2019 წლის 26 ივლისის №36 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

37. 2019 წლის 26 ივლისის №37 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მეორე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

38. 2019 წლის 26 ივლისის №38 განკარგულება ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის მიერ 2018 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

39. 2019 წლის 02 აგვისტოს №39 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

40. 2019 წლის 30 აგვისტოს №40 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

41. 2019 წლის 30 აგვისტოს №41 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ;

42. 2019 წლის 30 აგვისტოს №42 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის 6 თვეში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

43. 2019 წლის 30 აგვისტოს №43 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის II კვარტალში გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

44. 2019 წლის 30 სექტემბრის №44 განკარგულება შპს „ქედის წყალკანალის“ მიერ 2019 წლის 8 თვეში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

45. 2019 წლის 30 სექტემბრის №45 განკარგულება ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

46. 2019 წლის 30 სექტემბრის №46 განკარგულება ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 ივნისის №31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

47. 2019 წლის 25 ოქტომბრის №47 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

48. 2019 წლის 25 ოქტომბრის №48 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მესამე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

49. 2019 წლის 07 ნოემბრის №49 განკარგულება „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

50. 2019 წლის 07 ნოემბრის №50 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ქედის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

51. 2019 წლის 07 ნოემბრის №51 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

52. 2019 წლის 20 ნოემბრის №52 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

53. 2019 წლის 20 ნოემბრის №53 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040; შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 303.87 კვ.მ.) ,,გურამ ჯიჯავაძის სახელობის ქედის საჭიდაო დარბაზი“-ს სახელის მინიჭების შესახებ;

54. 2019 წლის 20 ნოემბრის №55 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მესამე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

55. 2019 წლის 20 ნოემბრის №55 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის მესამე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

56. 2019 წლის 20 ნოემბრის №56 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

57. 2019 წლის 05 დეკემბრის №57 განკარგულება ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ. №24-ში მდებარე 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქ. №15- ში მდებარე 2 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

58. 2019 წლის 05 დეკემბრის №58 განკარგულება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

59. 2019 წლის 05 დეკემბრის №59 განკარგულება ა (ა) ი პ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ის 2019 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

60. 2019 წლის 05 დეკემბრის №60 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

61. 2019 წლის 13 დეკემბრის №61 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №9აში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 21.03.34.441) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

62. 2019 წლის 13 დეკემბრის №62 განკარგულება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 21.03.35.545) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-სთვის

პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

63. 2019 წლის 27 დეკემბრის №63 განკარგულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შინმოვლის ფინანსური დახმარების პროგრამის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

შექმნილია ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მუნიციპალიტეტის ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისთვის. არც ერთი განცხადება სიტყვიერი მოთხოვნა თუ სხვა მოსახლეობის მხრიდან არ დარჩენილა ყურადღების გარეშე.

შუამდგომლობის ნებისმიერი ფორმა იქნა გამოყენებული პრობლემების გადასაწყვეტად.

საკრებულოს წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებში. კოლექტიურად და ინდივიდუალურადაც ხდებოდა სხვადასხვა სოლიდარობის აქციაში მონაწილეობის მიღება.

საკრებულოში არსებული კომისიები აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ წლის განმავლობაში, რომლებმაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, კერძოდ: ქედის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიამ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად საკრებულოს არაერთ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში შესატანი ცვლილებები და დამატებები მოამზადა, რომელიც საკრებულოს სხდომაზე იქნა დამტკიცებული.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ადგილობრივ ბიუჯეტში განიხილა არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამები. ასევე განიხილა და დადებითად შეაფასა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს 2019 წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესახებ, მის მიზანშეწონილობაზე და ძირითად პრინციპულობაზე, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა 2018 წლის 28 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N49 დადგენილებით;

2019 წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილება განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 01 მარტის N3 დადგენილებით.

მეორე ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 14 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N4 დადგენილებით.

მესამე ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 23 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N5 დადგენილებით.

მეოთხე ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 28 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N8 დადგენილებით.

2019 წლის 27 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N10 დადგენილებით დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 11825000 ლარი შეადგინა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ არაერთ მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად 2019 წელში განიხილა ისეთი მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მუნიციპალიტეტში პირველად დაინერგება, ესაა „შინმოვლის მიზნობრივი პროგრამა“, რაც საწოლზე მიჯაჭვულ ბენეფიციარების მომვლელის ფულად დახმარებას გულისხმობს; ასევე ინიცირებულია ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დანგრევის პირას მისული ძველი სახლების ახლით ჩანაცვლებას.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 69 ერთეული საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემა, რამაც ხელი შეუწყო შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის არსებულ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციის მიმდინარეობას.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ქედის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებაზე გადაცემისათვის.

აღნიშვნის ღირსია თითოეული საკრებულოს წევრის დამოკიდებულება შეჭირვებულ და სხვადასხვა ფორმით დაზარალებულ მოსახლეობაზე დახმარება პირადი დანაზოგიდან, რომელიც უმნიშვნელოა, მაგრამ ჩვენი წვლილით გარკვეულწილად გავაუმჯობესეთ მათი მატერიალური მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს საკრებულოს მიერ გასული თორმეტი თვის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ.

მონაცემები საკრებულოს ბიუროს სხდომების შესახებ

ა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა - 21;

ბ. საკრებულოს ბიუროს მიერ განხილული საკითხების რაოდენობა - 74;

გ. საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სხდომაზე გატანილი საკითხების რაოდენობა - 74;

მონაცემები საკრებულოს სხდომების შესახებ

ა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა -20. მათ შორის:

ა.ა. მორიგი სხდომების რაოდენობა - 12;

ა.ბ. რიგგარეშე სხდომების რაოდენობა - 8;

ა.გ. დახურული სხდომების რაოდენობა: 0

ბ. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები, მათ შორის:

ბ.ა. მორიგ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა-57;

ბ.ბ. რიგგარეშე სხდომაზე განხილული საკითების რაოდენობა - 17;

ბ.გ. დახურულ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა: 0

გ. საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულების რაოდენობა - 63;

დ. საანგარიშო პერიოდში მიღებული დადგენილების რაოდენობა - 10;

გ. საანგარიშო პერიოდში მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა -72;

ე. საანგარიშო პერიოდში უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა- 1;

3. მონაცემები საკრებულოში შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ

ა. საკრებულოში შემოსული განცხადებებისა და წერილების რაოდენობა - 138;

ბ. საკრებულოში შემოსული მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებების რაოდენობა - 1;

4. მონაცემები საკრებულოში მოქალაქეთა მიღების შესახებ

ა. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა -0;

ბ. საკრებულოს სხდომაზე მოქალაქეთა მიერ გაკეთებული განცხადებების რაოდენობა -0;

გ. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული მოქალაქეთა რაოდენობა - 450;

5. მონაცემები საჯარო ინფორმაციის შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
25		ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს	0

	25	თავმჯდომარე – შუქრი თურმანიძე	

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ.

არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	უარის თქმის საფუძვლები(შესაბამისი საკანონმდებლო აქტები)	გადაწყვეტილებს მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული ნხის ოდენობა
0	0	0	0	0

ზ. სტატისტიკური მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ:

შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით	საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	არ დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
საქართველოს მოქალაქე	2	2	0	0
უცხო ქვეყნის მოქალაქე	0	0	0	0
მოქალაქეობის არმქონე პირი	0	0	0	0
ორგანიზაცია დაწესებულება	13	13	0	0
მედიასაშუალება (ბეჭდვითი, ონლაინ, სატელევიზიო საშუალება) / ჟურნალისტი	5	5	0	0

დიპლომატიური წარმომადგენლობა/ საერთაშორისო ორგანიზაცია	0	0	0	0
ადმინისტრაციული ორგანო	5	5	0	0

მინდა ავღნიშნო, საკრებულოს ყველა წევრის დამოკიდებულება და პასუხიმგებლობა უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა მტკივნეული საკითხების მოგვარება, მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინება და შემლებისდაგვარად კანონის ფარგლებში დადებითად გადაწყვეტა.

ვიტოვებ იმედს, რომ საკრებულოში მოქმედი 4 ფრაქცია კიდევ უფრო გააქტიურებს მუშაობასა და მოღვაწეობა იქნება უფრო ნაყოფიერი.

განსაკუთრებით მინდა შევეხო კიდევ ერთხელ საკრებულოში მოქმედი კომისიების მუშაობას, რომელთა საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს თავმჯდომარე. კომისიების მუშაობაზეა დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად მთლიანად საკრებულოს ეფექტიანი და ნაყოფიერი საქმიანობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით აღდგენილი იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალება მიეცა თვითონ გადაეწყვიტა თუ რა უფრო საჭიროა მოცემული დასახლებისათვის. აქვე მინდა ავღნიშნო საკრებულოს წევრთა ჩართულობა ამ მიმართულებთ, მიუხედავად ნაყოფიერი მუშაობისა 2019 წელში არ მოხდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული თანხის სრულად ათვისება.

და ბოლოს არ შეიძლება არ ავღნიშნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ გაწეული მუშაობა, მისი ხარისხი საშემსრულებლო პასუხისმგებლობის მაღალი დონე.

დარწმუნებული ვარ რომ ეს საქებარი სიტყვები უარყოფითად არ იმოქმედებს შემდგომში.

მიუხედავად თქვენი ვალდებულებისა როგორც დეპუტატი მინდა მადლიერება გამოვხატო გაწეული საქმიანობისათვის“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება№26).

4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან გორგილაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (შემოსული დოკუმენტი:№65/04, 21.07.2020 წელი).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ მომხსენებელს ქედის მუნიციპალიტეტის მერს მიმართა, რომ ნამდვილად მისასალმებელი იყო აღიარება იმისი რა ხარვეზი ჰქონდათ და რა წარმატებები 2019 წლის პერიოდში. შემდეგ კი დაუსვა შეკითხვები: რამდენად ობიექტურად ხდება გარე განათების ბოძებისა და საყრდენი კედლების გაკეთება ამა თუ იმ სოფელში(უბნებში), რა მოქმედება განხორციელდა წონიარისში საყრდენი კედლის ჩამოშლის თაობაზე, რატომ ვერ ხერხდება გასულ წელს გაცემული სოციალური ბინების მფლობელების აბონენტებად აყვანა და ქედის რაგბის გუნდთან დაკავშირებით დაფინანსება, რომ ხორციელდება რამდენად წარმატებულია მათი განვითარება?

რაზედაც მომხსენებელმა ლევან გორგილაძემ მოახსენა: ,,ბატონო ვაჟა, მიკერძოების საკითხში ვერანაირად ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ რომ ყოველდღიურ რეჟიმში მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს (კრებებით/შეხვედრები/მათ მიერ გაკეთებული წერილობითი მომართვებით) და ჩვენც მაქსიმალურად ვაკეთებთ დასმულ პრობლემებს მათი მოთხოვნის შესაბამისად. წონიარისის საყრდენი კედლის წაქცევასთან დაკავშირებით კი მოგახსენებთ, რომ მეწყერულ პროცესებს წინასწარ ნამდვილად ვერ გავთვლიდით, თუმცა ხარვეზი რომ მისი გაკეთებისას იყო დაშვებული, ამაზე ჩვენ გვქონდა შესაბამისი რეაგირება და განვახორციელეთ სამართლებრივი მოქმედებები, შესაბამისად ის ზარალი, რაც მოგვადგა შემსრულებლისგან ანაზრაურებელი იქნა სრულიად. რაც შეეხება სოციალური ბინების თემას ამ საკითხში ძალიან კატეგორიული ვარ, რადგან ბინები უსასყიდლოდ გავეცით გასულ წელს და კერძო საკუთრებაშიც მოხდა უკვე დარეგისტრირებაც, ამიტომ არანაირი იურიდიული ფორმა/ვალდებულება არ გაგვაჩნია ჩვენ, თუ პირადად/კერძოდ არ მიმართავენ წერილობითი მოთხოვნით ენერგო-პრო ჯორჯიას და არ გადაიხდიან შესაბამის თანხას აბონენტად დარეგისტრირებისათვის და ბოლოს რაც შეეხება ქედის რაგბის განვითარებას, კარგად ვიცით, რომ რაგბი საქართველოში წარმატებული სპორტის სახეობაა, ამიტომ საერთო გადაწყვეტილებით შენარჩუნდა გუნდი და ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, თუმცა პირადად მე ქედაში სპორტის ყველა სახეობის განვითარების აქტიური ხელშემწყობი და გულშემატკივარი ვარ, რადგან ახალგაზრდებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ ჯანსაღი წესით ცხოვრების საშუალება".

დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი გასული სამუშაო წლისათვის. ასევე აღნიშნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აქტიური ურთიერთთანამშრომლობის, მუდმივი კომუნიკაციისა და კონსტრუქციული მუშაობის შესახებ და იქვე აღნიშნა, გარკვეულ საკითხებში კიდევ უფრო მეტი ჩართულობის თაობაზე მზაობა და მისი ობიექტური აზრით, ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებით შეფასებას იმსახურებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება№27).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 13:10 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **შუქრი თურმანიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ნონა ბერიძე**